ბრძანება

N 04/164

164-01-4-201905271713

27/05/2019

გადაწყვეტილება

2019 წლის 8 აპრილის N01/417 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. აღწერილობითი ნაწილი

1.1. მომჩივანის პოზიცია

2019 წლის 8 აპრილს, საქართველოს კონკურენციის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო“, „კონკურენციის სააგენტო“) წარმოდგენილ იქნა შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ (ს/კ 400183350) (შემდგომში „მომჩივანი“, „კომპანია“) საჩივარი (რეგისტრაციის N01/417) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის (ს/კ 204521954) (შემდგომში „მოპასუხე“; „მთაწმინდის რაიონის გამგეობა“; „გამგეობა“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საჩივრის თანახმად, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში NAT190003129 გამარჯვების შემდგომ, გამგეობასა და შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ შორის, 2019 წლის 20 მარტს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/30/047 ხელშეკრულება. ხელშეკრულების მეორე მუხლის პირველი პუნქტით, ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტად განისაზღვრა 500 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერი (თანმდევი მონტაჟით). ხელშეკრულების მესამე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კი, შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა მომხდარიყო ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ გაცემული წერილობითი დავალებების შესაბამისად. შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადად კი 2019 წლის 31 დეკემბერი განისაზღვრა.

მომჩივანის განცხადებით, 2019 წლის 26 მარტს, კომპანიას გამგეობის წარმომადგენლის მიერ ეცნობა, რომ მათ უნდა დაემზადებინათ 175 ერთეული შემზღუდავი ბარიერი არაუგვიანეს 2019 წლის 10 აპრილისა. მიუხედავად იმისა, რომ შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლმა“ სთხოვა მთაწმინდის რაიონის გამგეობას

დამატებითი დრო შეკვეთის შესრულებისათვის, მომჩივანის განმარტებით, მათ მიიღეს სრულიად უარგუმენტო უარი დამატებითი დროის გამოყოფასთან დაკავშირებით.

მომჩივანის განცხადებით, კომპანია მზად არის შეასრულოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/30/047 ხელშეკრულების პირობები, თუმცა, ვადები, რომელიც მთაწმინდის რაიონის გამგეობამ განუსაზღვრა ხსენებული 175 ერთეული ბარიერის დამზადება-მონტაჟისათვის არარეალურია და უხეშად ლახავს კომპანიის უფლებებს.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლენის შემდგომ, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ დაუკავშირდა გამგეობის წარმომადგენელი და გააცნო გარკვეული სამოქმედო გეგმა. იმ მიზეზით, რომ აქამდე კომპანიას მსგავსი საქმიანობის გამოცდილება არ ჰქონია, მათ უნდა შეესრულებინათ ე.წ. სატესტო დავალება. პირველ ეტაპზე, კომპანიას უნდა დაემზადებინა და შემდგომ დაემონტაჟებინა 25 მოძრაობის შემზღუდავი ბარიერი, საიდანაც ერთი ბარიერი უნდა წაეღოთ ექსპერტიზაზე, რომელიც დაადგენდა იყო თუ არა ნიმუში სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი.

მომჩივანი აცხადებს, რომ შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლმა“ დაამზადა 5 ერთეული ყალიბი და მოემზადნენ სამუშაოდ, იმ გათვლით, რომ ზემოაღნიშნული დავალების შესრულებამდე, ისინი გაზრდიდნენ ყალიბების რაოდენობას, რაც საშუალებას მისცემდათ, შემდგომში უფრო მეტი პროდუქტი მიეწოდებინათ დამკვეთისათვის დროის ნაკლებ მონაკვეთში. თუმცა, მიმდინარე წლის 26 მარტს, მთაწმინდის რაიონის წარმომადგენელმა მათ აცნობა, რომ კომპანიას უნდა დაემზადებინა 175 ერთეული მოძრაობის შემზღუდავი ბარიერი არაუგვიანეს მიმდინარე წლის 10 აპრილისა. როგორც უკვე აღინიშნა, კომპანიამ სთხოვა გამგეობას დამატებით 2 კვირიანი ვადა დავალების შესასრულებლად, რაზეც უარი მიიღო.

ამის შემდგომ, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლმა“ თხოვნით მიმართა მთაწმინდის რაიონის გამგებელს, რათა დახმარებოდა მათ არსებული პრობლემის მოგვარებაში და სამუშაოს/დავალების შესასრულებლად გამოეყო დამატებითი დრო. მომჩივანის განმარტებით, წერილში, არგუმენტად მოიყვანეს მსგავსი ხასიათის რამოდენიმე ტენდერი, სადაც კომპანიებს გაცილებით მეტი დრო ჰქონდათ მიცემული დავალების განსახორციელებლად.

მოგვიანებით, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლმა“ მიიღო გამგეობის წერილი, რომ მათი აუდიტის მოკვლევის შედეგად, დადგინდა, რომ კომპანია არ ახორციელებს სამუშაოებს, თუმცა, მომჩივნის განმარტებით, ეს არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან აუდიტორის დაკავშირების შემთხვევაში, ისინი აჩვენებდნენ, რომ ყოველდღიურად აგრძელებენ მუშაობას და ბარიერების ჩამოსხმას.

მომჩივანი ასევე აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/30/047 ხელშეკრულებით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაკისრებული ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების 0.5%-ია, როდესაც რეკომენდებული ჯარიმა 0.02%-ია. ეს ყველაფერი კი კომპანიას აფიქრებინებს, რომ შესაძლოა პრობლემები შეიქმნას პროდუქტის ჩაბარების დროსაც, რაც დამატებით დააზარალებს მათ.

მომჩივანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ყველაფრისა, კომპანია ცდილობს პირნათლად შეასრულოს აღებული ვალდებულება. თუმცა, მას შემდეგ, რაც შესასრულებელი სამუშაოსთვის მიცემული თავდაპირველი ვადის გახანგრძლივებასთან

დაკავშირებით გამგეობა არ წავიდა მოლაპარაკებაზე, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლმა“, საკუთარი ინიციატივით, საბოლოო მიწოდების ვადამდე დარჩენილი დღეების რაოდენობა შეუფარდა მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების საჭირო რაოდენობას და გადაწყვიტა, რომ დაამზადოს დღეში ორი ბარიერი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომჩივანს მიაჩნია, რომ ქალაქ თბილისის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ქმედება არღვევს საქართველოს „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლს.

1.2. მოპასუხის პოზიცია

2019 წლის 8 აპრილის წერილით (რეგ. N02/489), საჩივარი თანდართულ მასალასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობას.

2019 წლის 18 აპრილს, მთაწმინდის რაიონის გამგეობამ წერილობით (რეგ. N01/474) უპასუხა საჩივარში დასმულ საკითხებს. მოპასუხე არ ეთანხმება საჩივარში მითითებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს და უარყოფს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტს შემდეგი გარემოებების გამო:

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გამგეობის მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის დოკუმენტაციაში ხაზგასმით არის მითითებული, რომ შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად. გამარჯვებულ პრეტენდენტს შესაძლებლობა ჰქონდა, ხელშეკრულების დადებამდე გამოეყენებინა „კითხვა-პასუხის“ მოდული („ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი) და დაეზუსტებინა, თუ რა ვადა შეიძლებოდა განსაზღვრულიყო კონკრეტული სამუშაოების შესასრულებლად.

მოპასუხის განცხადებით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N2.9.19/30/047 ხელშეკრულების 3.1 მუხლის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ 26.03.2019 წლის N38-01190852342 წერილით მიეცა დავალება განეხორციელებინა ძმ. ზუბალაშვილების N48-თან 30 ცალი და მ. ლერმონტოვის ქუჩის მარჯვენა ტროტუარზე შ. დადიანის ქუჩიდან გ. ქიქოძის ქუჩამდე 145 ცალი, სატრანსპორტო საშუალებების გაჩერების საწინააღმდეგო, ახალი დამცავი ბარიერის მოწყობა არაუგვიანეს 2019 წლის 10 აპრილისა. გამგეობის განმარტებით, მითითებული ვადის განსაზღვრა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

ა) გამგეობის მიერ მითითებული ლოკაციები წარმოადგენს ხალხმრავალ ტერიტორიას, მოძრაობს დიდი რაოდენობის ტრანსპორტი, რაც ქმნის ამ ტერიტორიაზე მოძრავ მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ გარემოებებს.

ბ) დასახელებულ ლოკაციებზე სამუშაოს შესრულების ვადის განსაზღვრისას, გამგეობამ, აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, მოიკვლია რა სხვა შემსყიდველი ორგანიზაციების გამოცდილება, განსაზღვრა შესრულების გონივრული ვადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის 26.03.2019 წლის N38-01190852342 დავალების წერილის პასუხად, 27.03.2019 წლის N10/01190861381-38 წერილით, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლმა“ მიმართა გამგებელს, სადაც აღნიშნა, რომ მიწოდების ვადა არარეალურია, უხეშად ლახავს კომპანიის უფლებებს და თავს აგრძნობინებს დისკრიმინირებულად. არგუმენტად მოიყვანეს სხვა ანალოგიური ტენდერები, სადაც რაოდენობისა და მიწოდების განსხვავებული (შედარებით ხანგრძლივი) ვადებია მითითებული.

ამასთან დაკავშირებით, მოპასუხემ წარმოადგინა სახელმწიფო შესყიდვების ის ხელშეკრულებები, სადაც პირობად განსაზღვრულია, რომ მიმწოდებელს საქონლის მიწოდების/დემონტაჟის კონკრეტული მისამართები და ვადები გადაეცემა ეტაპობრივად, შემსყიდველის მიერ წერილობითი დავალებების შესაბამისად. მოპასუხის განცხადებით, საჩივრის ავტორის მიერ მაგალითის სახით წარმოდგენილ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებშიც საქონლის მიწოდების პირობები იგივეა. კერძოდ, შემსყიდველის მიერ წერილობით განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ ეტაპზე მისამართები, ვადები და რაოდენობა.

მოპასუხის განცხადებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ, მიმდინარე წლის 1 აპრილს N38-01190912194 წერილით პასუხი გაეცა შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ და განემარტა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველს, წერილობითი დავალების საფუძველზე, უფლება აქვს ეტაპობრივად მოითხოვოს შესყიდვის ობიექტების მიწოდება რაოდენობებისა და ვადის მითითებით. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მიმწოდებელი ფაქტობრივად დაეთანხმა მოცემულ პირობას, რაც ადასტურებს, რომ გამგეობის მხრიდან არ არის შელახული მიმწოდებლის უფლებები.

რაც შეეხება მომჩივანის მიერ სამუშაოს შესრულების დროის პროპორციულად სამუშაოს შესრულების ფორმულის განსაზღვრას, გამგეობის განცხადებით, ეს მიუღებელია, ვინაიდან დღეში ორი ბარიერის დამზადება და მისი პროპორციული სამუშაოს შესრულება სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული არ ყოფილა და თუ პრეტენდენტს აღნიშნულთან დაკავშირებით გაუჩნდა რაიმე კითხვა, მას ჰქონდა შესაძლებლობა, „კითხვა-პასუხის“ მოდულის გამოყენებით დაეზუსტებინა იგი.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობის ზედამხედველობისა და რეაგირების განყოფილების თანამშრომელთა მიერ, მიმდინარე წლის პირველ აპრილს, მონიტორინგის განხორციელების დროს, გამოვლინდა, რომ მითითებულ ლოკაციებზე, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ, მიმწოდებლისთვის 26.03.2019 წლის N38-01190852342 წერილით განსაზღვრული სამუშაოები საერთოდ არ შესრულებულა. უფრო მეტიც, არც დაწყებულა. ამასთან, გამგეობის მიერ დავალების მიცემიდან უკვე გასული იყო 5 დღე. აღნიშნულის თაობაზე გამგეობამ 2019 წლის 10 აპრილს N38-0119100380 წერილით მიმართა შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ და აცნობა, რომ ხსენებული ფაქტი საფრთხეს უქმნის სამუშაოების მოცემულ ვადებში დასრულებას.

კომპანიას ასევე ეცნობა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების შესაძლო დაკისრების შესახებ.

ანალოგიური წერილით გამგეობამ 2019 წლის 15 აპრილს კვლავ მიმართა შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ და აცნობა, რომ 12 აპრილს მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სამუშაოები კვლავ არ იყო დაწყებული. აღნიშნული კი მხარეთა შორის დადებული N2.9.19/30/047 ხელშეკრულების მე-8 მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს საჯარიმო სანქციებს.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ 2019 წლის 15 აპრილს, დავალების შესრულების ვადის გასვლიდან მე-5 დღეს, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ წარმომადგენელმა მიმართა გამგეობას და მოითხოვა შესაბამის ლოკაციებზე კონკრეტული ადგილების მითითება. გამგეობის მიერ, კომპანიას, 2019 წლის 16 აპრილს N38-01191063766 წერილით განემარტა, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის უფლებამოსილი წარმომადგენელი, კიდევ ერთხელ, დამატებით, ადგილზე მიუთითებდა ზუსტ ლოკაციებს.

1.3. დამატებითი ინფორმაცია

კონკურენციის სააგენტოს მიერ, მომჩივანისა და მოპასუხისგან, საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის შესაბამისად, გამოთხოვილი იქნა დამატებითი ინფორმაცია.

მიმდინარე წლის 25 აპრილს, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ მიერ წარმოდგენილი წერილით (რეგ: N01/503) სააგენტოს დამატებით ეცნობა:

გამგეობის მიერ, კონკრეტულ ლოკაციებზე მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების მოწყობისათვის მოკლე ვადის მიცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილ არგუმენტებთან მიმართებით, მომჩივანმა განაცხადა, რომ ამ ლოკაციებზე არ არსებობს მოქალაქეთა სიცოცხლისათვის სახიფათო გარემოება, რადგან, ძმები ზუბალაშვილების 48 ნომერთან, მთაწმინდის რაიონის გამგეობის წინ, უკვე არსებობს მოძრაობის შემზღუდავი ძველი ბარიერები. საჭირო არის მათი ახლით ჩანაცვლება, რაც მხოლოდ ვიზუალური ხასიათის ცვლილებას გამოიწვევს, უსაფრთხოების მხრივ, კი, ხსენებული ბარიერები ახლაც ასრულებენ დანიშნულებას. რაც შეეხება ლერმონტოვის ქუჩას, იგი არის ცალმხრივი მოძრაობის, სადაც ავტომობილების პარკირება ხდება ორივე მხარეს. კონკრეტული ქუჩის გადატვირთულობიდან გამომდინარე, ძირითადად, ბორდიურის გასწვრივ არის პარკირებული ავტომობილების უწყვეტი მწკირი. გარდა ამისა, ქუჩაზე მრავლად არის ხეები და ელექტროგადამცემი ბოძები, რაც კიდევ ერთი ბარიერია უბედური შემთხვევებისაგან თავის დასაცავად. გარდა ამისა, ლერმონტოვის ქუჩის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია მოძრაობის შემზღუდავი ძველი ბარიერები.

მომჩივანი აღნიშნავს, რომ ტენდერი გამოცხადებული იყო გამოცდილების მოთხოვნის გარეშე. კომპანიამ მიიღო მონაწილეობა, რადგან ისინი თვლიდნენ, რომ დავალებას თავს გაართმევდნენ და ეს ასეც არის, თუმცა, ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულებას სჭირდება მოსამზადებელი სამუშაოები, რომელსაც ისინი წინასწარ ვერ დაიწყებდნენ, რადგან იყო რისკი, რომ ტენდერს ვერ მოიგებდნენ ან ვერ გააფორმებდნენ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას.

ბარიერების დამზადებას სჭირდება ყალიბების შექმნა, რაც დროსთან არის დაკავშირებული. მომჩივანის განცხადებით, კომპანია ხელშეკრულების გაფორმების დღიდანვე შეუდგა ყალიბების დამზადებას, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, დროსთან არის დაკავშირებული და რის შესახებ გამგეობის წარმომადგენლები საქმის კურსში იყვნენ.

მომჩივანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობას დავალების მიცემის პროცესში არ ჰქონდა ტერიტორია მზად სამუშაოების საწარმოებლად, რადგან დიდ ნაწილზე უკვე არსებობდა ძველი ბარიერები. შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ კი არ აქვს ძველი ბარიერების დემონტაჟის ვალდებულება, რაც მკაფიოდ ჩანს მხარეთა შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში.

რაც შეეხება სამუშაოების შესრულებას, მომჩივანი აღნიშნავს, რომ კომპანიას დაწყებული აქვს გარკვეული რაოდენობის მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის წარმოება ყოველდღიურად, მაგრამ ისინი არ ახდენენ მათ მონტაჟს, რადგან მთაწმინდის რაიონის გამგეობა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მთლიანი ღირებულების 0.5%-ს აკისრებს ჯარიმის სახით, რაც 10 დღეში 2500 ლარს შეადგენს. შესაბამისად, მომჩივანი თავს იკავებს ბარიერების მონტაჟისგან, სანამ ეს უთანხმოება არ მოგვარდება.

როგორც უკვე აღინიშნა, გამგეობამ განაცხადა, რომ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ვადა მათ განსაზღვრეს სხვა ანალოგიური სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტები წარმოადგინა მომჩივანმაც და განმარტა, რომ რეალურად, სხვა კომპანიებს დავალების შესასრულებლად გაცილებით მეტი დრო ჰქონდათ შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლთან“ შედარებით.

მიმდინარე წლის 8 მაისის წერილით (რეგ: N01/543) მთაწმინდის რაიონის გამგეობამ წარმოადგინა პოზიცია, რომლის თანახმად, მოპასუხე აცხადებს, რომ შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ ეცნობა არსებული ბარიერების დემონტაჟის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის 2019 წლის 19 აპრილის N38-01191091557 წერილით. გამგეობის მიერ 2019 წლის 15 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/30/002 ხელშეკრულების (შემსყიდველი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა; მიმწოდებელი - შპს „მეტეხი 2008“) 2.1. პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდა, ავარიული ელემენტების აღდგენის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის სამუშაოები. ხელშეკრულების 3.3. პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელება შესაძლებელია საჭიროების მიხედვით, შემსყიდველის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად. ასევე, მოპასუხე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხსენებული ხელშეკრულებით, მიმწოდებელი/კონტრაქტორი ვალდებულია, შეტყობინებიდან მაქსიმუმ ერთ საათში გამოცხადდეს ობიექტზე. მოპასუხის განცხადებით, მას შემდეგ, რაც მთაწმინდის რაიონის გამგეობის წარმომადგენლის მიერ, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ არაერთგზის მიეთითა კონკრეტული ლოკაციები, ამ უკანასკნელმა ვერ მიუთითა სამუშაოების დაწყების დრო, რათა გამგეობას კონტრაქტორის საშუალებით განეხორციელებინა არსებული მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების დემონტაჟი.

შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ მიერ, მიმდინარე წლის 14 მაისს წერილით (რეგ: N01/558) წარმოდგენილ პოზიციაში, მომჩივანი აღნიშნავს, რომ მათ მიმართეს გამგეობას მიმდინარე წლის 15 აპრილს, რათა მიეთითებინათ ზუსტი წერტილები ბარიერების მონტაჟისათვის, რადგან მათ სამონტაჟოდ მზად ჰქონდათ 30 ბარიერი. თუმცა, ტერიტორიაზე უკვე არსებობდა ძველი ბარიერები, რომელთა დემონტაჟი არ იყო კომპანიის ვალდებულება. მომჩივნის განცხადებით, მათ აინტერესებდათ ბარიერები უნდა დამონტაჟებულიყო უკვე არსებული ბარიერების შუაში თუ მათ ადგილზე.

მომჩივანის განცხადებით, გამგეობა დროს ხელოვნურად ახანგრძლივებდა, კომპანიისათვის უცნობი მიზეზის გამო. მათ არ ჰქონდათ ტერიტორია მზად სამუშაოების განსახორციელებლად. შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ მიერ წადგენილი საჩივრის შემდეგ კი მოპასუხემ განაცხადა, რომ მათ თითქოს უკვე განუმარტეს, რომ დემონტაჟს გამგეობა მოახდენდა, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. მომჩივანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გამგეობის წარმომადგენელმა პირდაპირ მიუთითა ძველ ბარიერებზე და მოითხოვა მათი დემონტაჟი. წერილი კი მას შემდეგ გაუგზავნეს შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“, რაც მათ ეს დავალება გაასაჩივრეს.

1.3.1. სასამართლო დავა

მხარეები კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილ წერილებში (გამგეობის მიერ, მიმდინარე წლის 8 მაისს წარმოდგენილი (რეგ: N01/543) და შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ მიერ, მიმდინარე წლის 14 მაისს წარმოდგენილი (რეგ: N01/558) წერილები) აღნიშნავენ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2019 წლის 18 აპრილს გამოტანილი განჩინებით (ელექტრონული რეგისტრაციის ნომერი: 5059080176053) დაკმაყოფილდა შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ მოთხოვნა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის შესახებ და სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, მთაწმინდის რაიონის გამგეობას აეკრძლა შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლისათვის“ 2019 წლის 20 მარტის N2.9.19/30/047 მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტა და ჯარიმის დაკისრება. რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ მოსაქალაქო საქმეთა კოლეგიაში, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში იქნა გასაჩივრებული.

მომჩივანის მიერ, კონკურენციის სააგენტოს 2019 წლის 16 მაისის წერილის (რეგ: N2/633) პასუხად, მიმდინარე წლის 22 მაისის წერილით (რეგ: N01/591) წარმოდგენილი იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე წლის 30 აპრილს წარდგენილი სარჩელი.

სარჩელის თანახმად, დავის საგანს წარმოადგენს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობასა და შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლს“ შორის 2019 წლის 20 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/30/047 ხელშეკრულების საფუძველზე, მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ, მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების დამზადება/მონტაჟისათვის გონივრული

ვადის განსაზღვრა, მსგავსი სამუშაოს შესრულებისათვის დადგენილი ანალოგიური შემთხვევების მსგავსად.

აქვე, აღსანიშნავია, რომ მომჩივანი, სააგენტოში წარმოდგენილ 14 მაისის წერილში (რეგ: N01/558) აღნიშნავს, რომ ხსენებული სარჩელი სასამართლომ უკვე მიიღო წარმოებაში და ელის სხდომის დანიშვნას.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. კონკურენციის კანონმდებლობა

2.1.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესაბამისად, „სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე“.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია. აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეკრძალებათ:

(ა) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების შერწყმა, კავშირების, ასოციაციების, გაერთიანებების ან სხვა სახის სამეწარმეო სტრუქტურების შექმნა, თუ ეს იწვევს კონკურენციის შესუსტებასა და შეზღუდვას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(ბ) ეკონომიკური აგენტისათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათების დაწესება, რომლებიც მას კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს და ზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(გ) ეკონომიკური აგენტის სამეწარმეო საქმიანობისა და დამოუკიდებლობის აკრძალვა, შეჩერება ან/და სხვაგვარად შეფერხება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(დ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციისათვის სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა, ან არსებული სტრუქტურებისათვის ისეთი უფლებამოსილების მინიჭება, რომელიც შეზღუდავს კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

(ე) ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის შექმნას, რაც არსებითად ზღუდავს თავისუფალ

ფასწარმოქმნას და კონკურენციას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2.1.2. პროცედურული ნაწილი

კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს კანონის შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია; ამასთან, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შემთხვევაში, წარუდგინოს მას დასაბუთებული წერილობითი დასკვნა და შესაბამისი რეკომენდაცია ამ ორგანოს მიერ მიღებული კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების თაობაზე, მათ შორის, მოსთხოვოს კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული საკითხი დასვას შესაბამისი ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის წინაშე;

„საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-5 ბრძანების მე-2 მუხლის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, საქმის მოკვლევა დაიწყოს. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამის მუხლის დარღვევის შესახებ.

კანონის 22-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

„განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივარს შეისწავლის მისი შემოსვლიდან 30 დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებად ცნობის ან დასაშვებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლში, ხოლო უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სააგენტოს შეფასება

3.1. ზოგადი მიმოხილვა

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილ საჩივარში, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლი“ აპელირებს ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის ქმედებაზე, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევას. კერძოდ, მომჩივანის მტკიცებით, გამგეობის მიერ, 2019 წლის 20 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/30/047 ხელშეკრულების საფუძველზე, სამუშაოს შესრულებისათვის არასამართლიანი ვადის განსაზღვრა არღვევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლს.

მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის/მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, სააგენტო დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ 2019 წლის 20 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/30/047 ხელშეკრულებიდან გამომდინარე, **მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლისათვის“ სამუშაოს შესასრულებლად (მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების დამზადება/მონტაჟი) არასამართლიანი ვადის განსაზღვრის ნაწილში, მხარეთა შორის, მიმდინარეობს სასამართლო დავა.**

ამდენად, სააგენტოში წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით, მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

სააგენტო, როგორც კონკურენციის პოლიტიკის განმახორციელებელი საჯარო უწყება, თავისი საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო შეთანხმებებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, სააგენტოს დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით. შესაბამისად, სააგენტო იცავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განმტკიცებულ ფუნდამენტურ პრინციპებს, მათ შორის, ხელისუფლების დანაწილებისა და სასამართლო ხელისუფლების საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებს.

სააგენტო, საქმის მოკვლევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ამოწმებს განცხადებაში/საჩივარში დასმული საკითხი რამდენად განეკუთვნება მის უწყებრივ ქვემდებარეობას, როგორც შინაარსობრივი (რამდენად მოიცავს განცხადებაში/საჩივარში დასმული საკითხი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებს), ასევე პროცესუალური კუთხით (არის თუ არა სააგენტო უფლებამოსილი შეაფასოს განცხადებაში/საჩივარში დასმული საკითხი. მათ შორის განსაზღვროს, ხომ არ იხილავს ამ საკითხს სასამართლო ან ხომ არ არსებობს იდენტურ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ.).

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში განმტკიცებულია დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი პრინციპი - ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და დადგენილია, რომ *სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.* ამასთან, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ხელისუფლების სამ შტოს: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას და განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს.

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილია, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები. „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის თანახმად კი: *„სასამართლოს აქტი, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მოთხოვნა და განკარგულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის (პირველი პუნქტი); სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება, შეცვლა ან შეჩერება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს კანონით განსაზღვრული წესით (მეორე პუნქტი); სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ან მისი შესრულებისთვის ხელის შეშლა იწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას (მესამე პუნქტი).*

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპი განმტკიცებულია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით. მათ შორის, აღსანიშნავია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპი განმტკიცებულია ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილით, რომლის თანახმად: ***„სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება განიხილოს რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ...“.*** ამდენად, ნორმის არსიდან გამომდინარე, ხსენებული მუხლი ავალდებულებს სხვა სასამართლოს ან ნებისმიერ ორგანოს, რომ სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდგომ, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს დაწყებული წარმოება, რომელიც შეეხება მხარეთა შორის დავას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის მე-4 ნაწილთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „აღნიშნული დათქმით კანონმდებელი მკვეთრად უსვამს ხაზს დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს - ხელისუფლების დანაწილების თაობაზე. სასამართლო ხელისუფლება, როგორც კონსტიტუციური ფუნქციის განმახორციელებელი მართლმსაჯულების ორგანო, გარანტირებულია სრული ავტონომიით და ჩაურევლობის პრინციპით. ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველმყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, ხოლო მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის შემცველი განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენისას, ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს მანდატი, გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ - სასამართლო ორგანოს... ამგვარ შემთხვევაში, ადმინსტრაციული

ორგანოს უფლება შემოიფარგლება განმცხადებლისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევით, კერძოდ, აუხსნას მხარეს, რომ საკითხი სასამართლო ორგანოთა იურისდიქციას განეკუთვნება“.[1]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ხელისუფლების დანაწილების ფუნდამენტური პრინციპი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილი, ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი პრინციპები და სააგენტოს მიერ აღსასრულებელი სპეციალური კანონმდებლობა სააგენტოს ართმევს შესაძლებლობასა და უფლებამოსილებას, წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე დაიწყოს მოკვლევა, თუ სასამართლოში იმავე მხარეებს შორის, იმავე საკითხზე მიმდინარეობს დავა.

ამასთან, გასათვალისწინებელია საქართველოს კონკურენციის სააგენტოს პრაქტიკაც. კერძოდ, სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 30 დეკემბრის N202 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით (რომელიც წარმოდგენს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას) საქართველოს კონკურენციის სააგენტომ ნაწილობრივ შეწყვიტა წარმოება და არ იმსჯელა საკითხზე, რომელიც ასევე წარმოადგენდა სასამართლოში მიმდინარე დავის საგანს.

გარდა ამისა, სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 21 მარტის N04/80 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით (რომელიც წარმოდგენს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას), სააგენტომ დასაშვებად არ ცნო საჩივარი და უარი თქვა საქმის მოკვლევის დაწყებაზე იმ საფუძვლით (ერთ-ერთი საფუძველი), რომ სადავო ქმედებების უმრავლესობა წარმოადგენდა სასამართლოში მიმდინარე დავის საგანს.

როგორც აღინიშნა, მიმდინარე დავის ფარგლებში, შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ მიერ, კონკურენციის სააგენტოში წარმოდგენილი საჩივრის შესაბამისად, მომჩივანი მოითხოვს სააგენტომ შეაფასოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების მონტაჟისათვის განსაზღვრული დროის სამართლიანობა/გონივრულობა. თუმცა, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენციის სააგენტო ვერ შეაფასებს მთაწმინდის რაიონის ხსენებულ ქმედებას, რადგან აღნიშნული უკვე წარმოადგენს სასამართლოს განხილვის საგანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმ ფაქტობრივი მოცემულობის გათვალისწინებით, რომ შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ მიერ წარმოდგენილ საჩივარში დასმული საკითხი არის სასამართლოს შესწავლის საგანი - კონკურენციის სააგენტოს მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის მიერ, 2019 წლის 20 მარტს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/30/047 ხელშეკრულების საფუძველზე, მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების მონტაჟისათვის განსაზღვრული ვადის სამართლიანობის/გონივრულობის შეფასება სცილდება კონკურენციის სააგენტოს კომპეტენციას. აქედან გამომდინარე, **არ არსებობს მოკვლევის დაწყების კანონით გათვალისწინებული საფუძველი, რაც „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად, საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძველია.**

---

[1] საქმე № ბს-80-75 (კ-13), 2.07.2013 წ.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „განცხადებისა და საჩივრის ფორმების, მათი წარდგენის წესი და განცხადებისა და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის №30/09-1 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-12 მუხლის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. შპს „დეკორაციების და ქანდაკებების სახლის“ 2019 წლის 8 აპრილის N01/417 საჩივარი არ იქნას დასაშვებად ცნობილი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ჭიჭინაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი